**გაუმარჯოს 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს!**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 48 (4558)

1972 წ. 8 მარტი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




გ. იაშვილის ნახატი.

## დამთავრდა საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობა

გუშინ მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობამ.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

* * *

გუშინვე შედგა საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ჯ. პატიაშვილი.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ი. ბამრეკელი.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ნ. ფოფხაძე და ნ. ლალიძე.

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ვ. ალავიძის, ი. ბამრეკელის, რ. გოგლიძის, ნ. ლალიძის, ჯ. პატიაშვილის, ა. როგავას, ა. სანებლიძის, გ. საქსონოვის, გ. სიხარულიძის, ნ. ფოფხაძისა და ვ. ხარაიძის შემადგენლობით.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ა. სანებლიძე, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორად — ვ. ხარაიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვ. მჟავანაძე, რ. მეტრეველი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. პუგო.



## კომუნიზმის მომავალი მშენებელი

ივი მტკიცე, სპორტული ნაბიჯით მიჰყვება მწყობრს და ბედნიერია, რომ ამ დიდ დღესასწაულში მონაწილეობს. ჯერ სულ პატარაა, მეორე თუ მესამე კლასის მოსწავლე, და ბავშვისთვის დამახასიათებელი უშუალობით ფიქრობს თავის კარიერაზე. მერე გავა დრო და გუშინდელი აღლუმის მონაწილე მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი გახდება. მაგრამ ამას სულ ცოტა 4-5 წელი დასჭირდება. მაშინ კი, იმ ღირსსახსოვარ დღეს, გოგონა ვერც კი წარმოიდგენდა, რა სიურპრიზს უმზადებდა მას ფორტუნა.

მაშ ასე, ხუთიოდე წლის წინ ნინა დრონოვამ (სურათზე — მარჯვნიდან მესამე) თავის თანატოლებთან ერთად ენერგიული ნაბიჯით ჩაუარა თბილისის სტადიონის ტრიბუნებს და... მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადაც დაიწყო. მას შემდეგ პატარა ნინამ ბევრ დიდ შეჯიბრებაში იასპარეზა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორც უაღრესად ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ტანმოვარჯიშემ.

იგი დღესაც მოსწავლეა, ტანადი, ცქრიალა გოგონა, მაგრამ ცხოვრებასა და სპორტს სულ სხვა თვალით უყურებს. ნ. დრონოვა ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი პირველი კანდიდატია, საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის იმედი და მომავალი.

ნინა აქტიური კომკავშირელია, ახალგაზრდობის ლენინური გვარდიის ერთგული და ღირსეული წევრი. ამიტომაც აირჩიეს იგი საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატად — ნიჭიერი სპორტსმენი, სამაგალითო გოგონა და კომუნიზმის მომავალი მშენებელი.

ნ. ახვლედიანი.

ზ. ქვათაძის ფოტო.

## ტანვარჯიში ბუდაპეშტში

როგორც წინა ნომერში ვრტყობინებდით, სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა გასულ შაბათ-კვირას ბუდაპეშტში იასპარეზეს უნგრეთის ეროვნულ კოლექტივებთან და გუნდურ ჩათვლაში წარმატებასაც მიაღწიეს.

ქალთა შორის პირად ჩათვლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, გროზნოელმა სტუდენტმა ლ. ტურიშჩევამ. ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობისას მან თავისუფალ ვარჯიშსა და ორძელზე 9,8-9,8 ქულა დაიმსახურა, საბოლოოდ 76,35 ქულა დააგროვა და I ადგილიც დაიკავა. წარმატებით გამოვიდა ტაშკენტელი ე. საადი, რომელიც 75 ქულით II ადგილზეა. საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა უნგრელი ა. კერი — 74,85. ზ. ვორონინა (მოსკოვის ოლქი) დვირიდან ჩამოვარდა და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა — 74,50. პირველ ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე, ცნობილი უნგრელი ტანმოვარჯიშე მ. კელემენი (74,20) და ბათუმელი რ. სიხარულიძე (73,65).

ვაჟთა მატჩში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ევროპის ჩემპიონმა მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში, ვლადიმირელმა სტუდენტმა ნ. ანდრიანოვმა, მაგრამ ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრებისას მას მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა მ. ვორონინმა გაუსწრო — 112,35 ქულა. ანდრიანოვი გამარჯვებულს 0,1 ქულით ჩამორჩა.

III საპრიზო ადგილზეა უნგრელი ი. მოლნარი — 111,35.

ტრავმის შემდეგ თანდათან შედის ფორმაში ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ვ. კლიმენკო (მოსკოვი). ამჯერად მან 110,80 ქულით IV ადგილი დაიკავა.

პირველ ექვსეულში კიდევ ორი საბჭოთა ტანმოვარჯიშეა: ერევნელი ე. მიქაელიანი (110,45) და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ფოგელი (109,90).

## 32 მედალი!

**ლეიკ პლესიდი, 6 მარტი.** ამერიკის შეერთებული შტატების ამ მაღალმთიან აგარაკზე დამთავრდა ზამთრის მსოფლიო უნივერსიადა.

სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა, რომელმაც ჩემპიონის სახელი ვადამდე გაინაღდა, ბოლო მატჩშიც საუცხოოდ ითამაშა — დამაჯერებლად სძლია აშშ-ს სტუდენტთა გუნდს — 4:1.

უნივერსიადაში მოასპარეზე საბჭოთა სპორტსმენებმა საბოლოო ჯამში 32 მედალი მოიპოვეს — 14 ოქრო, 10 ვერცხლი და 8 ბრინჯაო. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მოთხილამურეებმა, რომელთა წილად ოქროს 6, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 მედალი მოდის.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის სტუდენტებმა 218 ქულა დააგროვეს. პირველ სამეულში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის წარმომადგენლები.

**როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19.45**

## ხუთი ჯილდო — ქართველ ძიუდოისტებს

◆ **ოდერის ფრანკფურტი, 7 მარტი.** აქ ჩატარდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხუთი საპრიზო ადგილი ქართველმა მოჭიდავეებმა დაიკავეს: ოქროს მედლები ხვდათ თბილისელებს — ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს გ. გოგოლაურს (საშუალო წონა) და რ. ოდიშელიძეს (აბსოლუტური); გორელმა შ. ჩოჩიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ქვემძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში, თბილისელმა რ. ხარშილაძემ — საშუალო წონაში. გაგაცნობთ დანარჩენ გამარჯვებულებს: ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, უნგრელი საბო (მსუბუქი წონა), გდრ-ის სპორტსმენები, ევროპის ჩემპიონი ჰოვილერი (ქვემძიმე) და მეტგერი (ქვესაშუალო), ავსტრიელი ბუტკა (მძიმე).

## ამერიკელი კალათბურთელები საბჭოთა კავშირში

როგორც ვიუწყებოდით, მალე სსრ კავშირში ტურნეს გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები. სტუმრები სულ 9 შეხვედრას ჩაატარებენ.

პირველ მატჩში, რომელიც 22 აპრილს მოსკოვში შედგება, ამერიკელები საბჭოთა დედაქალაქის ნაკრებს შეხვდებიან, მეორე დღეს კი სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს ეთამაშებიან.

24 აპრილს სტუმრები კიევში ჩავლენ, სადაც ასევე ორი მატჩი ელით: 25 აპრილს ისევ შეხვდებიან ახალგაზრდულ საბჭოთა ნაკრებს, მეორე დღეს კი უკრაინის გუნდის წინააღმდეგ გამოვლენ.

28 აპრილს ამერიკელები ვილნიუსში ლიტვის ნაკრებთან ითამაშებენ, 30 აპრილს ტალინში გამართავენ შეხვედრას ესტონეთის ნაკრებთან, ხოლო 3 მაისს ლენინგრადში ამ ქალაქის გუნდს შეხვდებიან.

4 მაისს სტუმრები თბილისს ეწვევიან, სადაც ორ დასკვნით შეხვედრას ჩაატარებენ: 5 მაისს — „დინამოსთან", ხოლო 6 მაისს — საქართველოს ნაკრებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“

**მ ო წ მ ო ბ ა**

**„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი

ამხ. ________________________

ჩააბარა რა საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ________ საფეხურის მოთხოვნები, დაჯილდოვდა ________ ნიშნით.

ბეჭდის ადგილი ხელმოწერა ________________

„___“ ____________ 197___ წ.

---

ფორმა № 2

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი

## ჩათვლის ბარათი

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ________ საფეხურის მოთხოვნებისა და ნორმების ჩასაბარებლად.

გვარი, სახელი, მამის სახელი ________________

დაბადების წელი ________________

ფიზიკური კულტურის კოლექტივი ________________

________________________________

ბარათის უკანა მხარე

**მშთ კომპლექსის მოთხოვნებისა და ნორმების შესრულება**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში | პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა | სამოქალაქო თავდაცვა ([illegible]) | დილის ჰიგიენური ტანვარჯიში | რბენა . . . . მ | კროსი . . . . მ | ხტომა სიგრძეზე ან სიმაღლეზე |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტყორცნა . . . . შედეგი . . . . | თხილამურები . . . . შედეგი . . . . | ცურვა . . . . მ | მიზანში . . . . შედეგი . . . . | სროლა . . . . მ საწვრთნელი სამიზნე . . . . | ტურისტული ლაშქრობა . . . . კმ | სპ. თანრიგი გუნდური 1 საფეხურის ამოცანები . . . . |
| | | | | | | |
| | | | | | | |

შენიშვნა: პირველ გრაფაში ჩაიწერება შედეგი, მეორე გრაფაში — ჩაბარების თარიღი.

დაშვებულია მშთ კომპლექსის ——— საფეხურის ნორმების ჩასაბარებლად.

ექიმის ხელმოწერა ———— „———“ ———— 197 — წ.

———— საფეხურის ———— ნიშანზე მოთხოვნები და ნორმები ჩაბარებულია.

პ-მგებ. პირის ხელმოწერა „———“ ————197 — წ.

---

ფორმა № 1

მშთ კომპლექსის ________ საფეხურის მოთხოვნებისა და ნორმების ჩაბარების უწყისი (ან ჩასაკერებელი ფურცელი და საკლასო ჟურნალი)

| გვარი, სახელი, მამის სახელი | დაბადების წელი | ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში | პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა | სამოქალაქო თავდაცვა ([illegible]) | დილის ჰიგიენური ტანვარჯიში | რბენა . . მ | . . მ. კროსი | ხტომა სიგრძეზე ან სიმაღლ. | ტყორცნა | თხილამურებით | ცურვა . . მ | მიზანში სროლა | სროლა . . მ სახეობა | ტურისტული ლაშქრობა | სპორტული თანრიგი, გუნდური 1 საფეხ. | მშთ კომპლექსის ნიშნის ჩაბარება (ხელმოწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |

შენიშვნა: პირველ გრაფაში ჩაიწერება მოთხოვნებისა და ნორმების შედეგი, მეორეში — ჩაბარების თარიღი.

---

ვაქვეყნებთ მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მოწმობისა და ჩათვლის ბარათის ნიმუშებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ამგვარი ნიმუშის მოწმობებსა და ჩათვლის ბარათებს, აგრეთვე, სამკერდე ნიშნებს მალე დაუგზავნის რესპუბლიკების შესაბამის კომიტეტებს, რომლებიც თავის მხრივ ყველაფერს ფიზკულტურის კოლექტივებს მიაწვდიან.

მაგრამ, სანამ ეს გაკეთდებოდეს, ფიზკულტურის კოლექტივებმა, რაიონების, ქალაქებისა და საოლქო კომიტეტებმა გაზეთში გამოქვეყნებული ამ ნიმუშების მიხედვით უნდა შექმნან დროებითი დოკუმენტები და კომპლექსის ნორმატივები ჩაიბარონ.

## მშთ კომპლექსის სარბიელი

ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის შვიდასმა მუშამ უკვე ჩააბარა მშთ ახალი კომპლექსის სათხილამურო ნორმები. რიბინსკის წყალსაცავის დათოვლილ ველზე გაყვანილ სათხილამურევზე ათასზე მეტი კაცი გამოვიდა. შეთანხმებულად აიღეს სტარტი სარემონტო-მექანიკური საამქროს მუშებმა თავიანთი უფროსის, სპორტის ოსტატობის კანდიდატ ს. ფილიპოვის მეთაურობით. ამ საამქროში ყოველი მესამე ახალგაზრდა მუშა თანრიგოსანი სპორტსმენია.

ვაჩიკეთის დედაქალაქში მშთ კომპლექსის ნორმები პირველად „დინამოს“ ახალგაზრდა სპორტსმენებმა ჩააბარეს. დუშანბეს ახალგაზრდობა მზიანი, თბილი დღეებით სარგებლობს და ახალი კომპლექსის ნორმატივებს ნასობრივად აბარებს.

ლვოვის ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტში მშთ კომპლექსის შტაბი შეიქმნა. აქტიურად აბარებენ კომპლექსის ნორმებს ფირმა „პროგრესის“, ავტობუსებისა და სატელევიზიო ქარხნების ფიზკულტურელები, უნივერსიტეტის სტუდენტები.

მშთ კომპლექსის სამკერდე ნიშანზე სათხილამურო ნორმების ჩასაბარებლად ალმა-ათის № 89 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა მთელი კოლექტივი გამოვიდა.

ლატვიაში მშთ კომპლექსის ნორმების ჩასაბარებლად პირველნი რიგის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის მუშები და მოსამსახურეები გამოვიდნენ. საწარმოს სპორტულ ბაზებზე ნორმების ჩაბარება ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით შეიძლება. გაიმართა შეჯიბრება: ვინ უფრო მალე მოიპოვებს ახალი კომპლექსის ნიშნოსნის სახელს.

# უჩვეულო რეკორდის მფლობელი



ეს მეთხედი საუკუნის წინათ იყო. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსანთა ვარჯიშს თვალს ადევნებდა ჯგუფი გოგონებისა, რომელთა შორის ერთი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა.

პატარას თბილისის მე-12 სკოლაში ნიჭიერ სპორტსმენად იცნობდნენ, მორბენალთა შეჯიბრებაშიც ბევრჯერ გამოსულა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ბირთვის კვრა და ბადროს ტყორცნა იზიდავდა. მაშინ ხომ საქვეყნოდ აღიარებული ბადროს მტყორცნელის ნინო დუმბაძის მიღწევები მსოფლიოში ქუხდა!

გოგონას სურვილი მწვრთნელ ბ. ტახტაროვს არ გამოჰპარვია და ბავშვს სექციაში მეცადინეობა შესთავაზა.

ლამარა სესაძის სახელი მალე რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე გამოჩნდა. ბირთვის კვრაში ზედიზედ დაამარცხა მან თბილისელი გოგონები, მერე ბადროს ტყორცნაში ისახელა თავი და გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდსაც შეუტია.

სპორტში მიზნის მისაღწევად აუცილებელი სახეობის სიყვარული როდი კმარა, — დაუღალავი, ხანგრძლივი ვარჯიშია საჭირო. ლამარაც გულმოდგინედ მეცადინეობდა.

წარმატებებმა თანდათან იმატა, რეკორდს რეკორდი მოჰყვა.

ლამარა წამოიზარდა, დაქალდა, დაოჯახდა მაგრამ სპორტისთვის არ უღალატია.

სპორტული ოჯახი (ლამარა წრეხულში ცნობილი თარჯიმორბენლის, ახლა კი მწვრთნელ მამია ტულუშის მეუღლეა) რესპუბლიკის ღირსების დასაცავად მუდამ მზად იყო.

მალე ოჯახს ახალი სიხარული შეემატა. დაიბადა ქალიშვილი, მერე მეორე. პატარა ელეონორასა და მარინეს ყოველდღიური ზრუნვა სჭირდებოდათ. ლამარა ტულუშს დიდი ტვირთი დააწვა, მაგრამ მაინც ყველაფერს თავს ართმევდა — ოჯახს, შვილების აღზრდას, სპორტში ვარჯიშს, თუმცა აქ დატვირთვა საგრძნობლად შეამცირა.

სპორტული ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდიოდა. ლამარა ტულუში იქ იყო, სადაც ამას რესპუბლიკის ინტერესების დაცვა მოითხოვდა. სარბიელიდან დუმბაძის წასვლის შემდეგ ტულუში საქართველოს ბადროს მტყორცნელ ქალთა ლიდერი გახდა, რამაც, რა თქმა უნდა, მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა.

ტულუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შვილებმაც მშობლების გზა აირჩიეს: დედამ სპორტში პირველი გაკვეთილები ელეონორას მისცა. გოგონა საკმაოდ ნიჭიერი გამოდგა — ბადროს ტყორცნაში მალე სათანრიგო ნორმატივიც შეასრულა, მარინე კი ახლა იწყებს ვარჯიშს.

მერე ლამარამ უფრო დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი — თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებულ სპორტსკოლაში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

ლამარასთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გასული სპორტული სეზონი იყო: მან ბირთვის კვრაში რესპუბლიკის რეკორდი 16,09 მეტრამდე აიყვანა, თავის ძირითად სახეობაში — ბადროს ტყორცნაში კი...

... ვინ იფიქრებდა, რომ ტულუში შეუძლებელს შეძლებდა. მამიამ წლის დასაწყისში მითხრა: ლამარას დუმბაძის რესპუბლიკურ რეკორდზე საიერიშოდ ვამზადებ. ხომ გახსოვს, 57,04 მეტრი თავის დროზე მსოფლიო რეკორდი იყო. ვნახოთ, ლამარა თავის სიტყვას სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაში იტყვისო.

მიზანს მიაღწიეს: ლამარამ დუმბაძისეულ რეკორდს 80 სანტიმეტრი მიუმატა, თანაც V ადგილი დაიკავა და საქართველოს დელეგაციის ქულათა ყულაბაში თავისი საგრძნობი წვლილიც შეიტანა.

მაგრამ მთავარი მიღწევა მაინც სხვაა: საქართველოს მძლეოსნებში (და, შესაძლოა, სხვა სახეობათა წარმომადგენელთა შორისაც) სსრ კავშირის ხუთივე სპარტაკიადაში მონაწილეობით ვერავინ დაიქადნის. ლამარა კი ამ იშვიათი რეკორდის მფლობელია.

ქალთა საერთაშორისო დღეს ლამარა ტულუში შინ ვერ ზეიმობს — ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატზე დასასწრებლად საფრანგეთს გაემგზავრა.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ლ. ტულუში.
ავტორის ფოტო.

## [illegible]-72

● ოსლო, 6 მარტი. 1-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში მხტომელთა აქ გამართულ ევროპის თასის პირველ გათამაშებაში გაიმარჯვა მოსკოველმა თ. საფონოვამ — 394,05 ქულა. მან 19,62 ქულით აჯობა II ადგილზე გასულ შვედ უ. კნაპეს. III ადგილზეა კ. გენსებურგი (გდრ) — 371,79 ქულა. მეორე საბჭოთა სპორტსმენმა, მოსკოველმა ნ. კუზნეცოვამ VI ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის ყველას აჯობა იტალიელმა ფ. კანიოტომ — 526,74 ქულა. II ადგილზეა მოსკოველი ვ. ვასინი (513,42), რომელმაც 0,36 ქულით გაუსწრო მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, იტალიელ კ. დიბიასის. IV ადგილზე გავიდა მოსკოველი ვ. სტრახოვი.

● იაუნდე, 6 მარტი. კამერუნის საფეხბურთო მინდვრებზე 12 დღეს გრძელდებოდა აფრიკის თასისთვის ბრძოლა. აქ გამართულ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მალისა და კონგოს სახალხო რესპუბლიკის გუნდები. გაიმარჯვეს კონგოელებმა — 3:2. ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში კამერუნელებმა დაამარცხეს ზაირის ნაკრები — 5:2.

● მინსკი, 6 მარტი. ვოლგოგრადელმა სპარტაკელმა ა. სელინამ გაიმარჯვა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე აქ დაწყებულ საკავშირო შეჯიბრებაში. მართალია, ასპარეზობას აკლდა სამმეტრიანი ტრამპლინიდან საბჭოთა კავშირის უძლიერესი წყალში მხტომელი თ. საფონოვა (მოსკოვი), მაგრამ სელინამ თავისთავად საკმაოდ მაღალი ოსტატობა გამოავლინა და საუკეთესო შედეგსაც მიაღწია — 383,67 ქულა. II ადგილი დაიკავა მოსკოველმა ნ. ტრუბოჩნიკოვამ (368,58), ხოლო III — სსრ კავშირის თასის ამასწინანდელ გათამაშებაში გამარჯვებულმა, ლვოველმა ტ. შტირიოვამ (356,70). შეჯიბრება 9 მარტს დამთავრდება.

● კატოვიცე, 6 მარტი. „შავი ალმასების“ ტურნირის პირველ გამარჯვებულთა შორის ორი საბჭოთა მოკრივეა — დონეცკელი მ. იაკუპოვი და ჟდანოველი ა. კლიმანოვი. სილეზიის მეშახტეთა დედაქალაქში გამართულ ამ საერთაშორისო ტურნირის ფინალურ მატჩებში იაკუპოვმა (პირველი ქვეხაშუალო წონა) სძლია პოლონელ ვ. ცარუკას, ხოლო კლიმანოვმა (პირველი საშუალო) — რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, პოლონელ კ. პაზძიორს. ფინალში მოასპარეზე მესამე საბჭოთა სპორტსმენმა, დონეცკელმა ნ. სახნომ (ქვემძიმე) წააგო პოლონელ ი. გორტატთან. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები.

● შაბაცი, 6 მარტი. იუგოსლავიის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი დიდოსტატ ივკოვის გამარჯვებით დამთავრდა — 12 ქულა 19-დან. II-III ადგილები გაიყვეს ლიუბოევიჩმა და რუკავინამ — 11,5 თითოეულს. 11-11 ქულით შემდეგ სამ ადგილზე გავიდნენ მატანოვიჩი, ბუკიჩი და მატულოვიჩი. მატულოვიჩის გარდა ყველა ზემოჩამოთვლილმა მოჭადრაკემ მიიღო მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება. მატულოვიჩს წინ აქვს ოთხპარტიიანი მატჩი უნგრელ ოსტატ ტოტთან. ეს მატჩი მარტში გაიმართება ბუდაპეშტში და გამარჯვებული საზონათაშორისო ტურნირის საგზურს მიიღებს.

● ბუქარესტი, 6 მარტი. რუმინეთის დედაქალაქში გაიმართა დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ტრავმის გამო სარბიელზე არ გამოსულა მსოფლიო ჩემპიონი გ. კრისი, უმისოდ კი პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ასევე კიეველმა ი. ვიტებსკიმ — ფინალში მან ხუთივე ბრძოლა მოიგო. ო. ანიკინმა IV ადგილი დაიკავა. გუნდური ტურნირის ფინალურ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ჯერ პოლონელებს სძლია (9:3), მერე კი გდრ-ის წარმომადგენლებს (8:3).

● ბიდგოშჩი, 6 მარტი. პოლონეთის ამ ქალაქში გამართულ მორიგ საკლასიფიკაციო ტურნირში ყველას აჯობა ვიტებსკელმა დაშნით მოფარიკავემ ვ. მოძალევსკიმ. ფინალში მან შვიდივე ორთაბრძოლა მოიგო. სამი გამარჯვებით IV ადგილზე აღმოჩნდა ა. კორშუნოვი.

● ბრაიტონი, 6 მარტი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისის ღია ჩემპიონატმა მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შვედები: მსოფლიო ჩემპიონმა ს. ბენგტსონმა ანგარიშით 3:1 სძლია ჩ. იუჰანსონს. ქალებში საუკეთესო იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ალექსანდრუ (რუმინეთი), რომელმაც ფინალში აჯობა ი. ვოშტოვას (ჩეხოსლოვაკია) — 3:0. ვაჟთა წყვილებში პირველნი იყვნენ იუგოსლაველები დ. შურბეკი და ა. სტიპანჩიჩი, ქალთა წყვილებში — რუმინელები ალექსანდრუ და ე. ვლაისოვი, ხოლო შერეულ წყვილებში — ალექსანდრუ და სტიპანჩიჩი.



სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე ამას წინათ მრავალი მაყურებელი დაესწრო ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს სოხუმის „დინამოსა“ და აფხაზეთში სანვრთნელ შეკრებაზე მყოფ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს შორის.

ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა დინამოელმა ზარიამ. შესვენების შემდეგ პენალტი გამეორდა, მაგრამ უკვე დინამოელთა კარში და პაკ დენ ფუნმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

75-ე წუთზე ძასპინძელთა საჯარიმო მოედანზე დაშვებული შეცდომა ხონ ხენ ჩერმა გადამწყვეტი ბურთით დააგვირგვინა: გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1.

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

ფეხბურთი

## სსრ კავშირის თასზე

6 მარტს შედგა მეთექვსმეტედფინალის კიდევ სამი განმეორებითი შეხვედრა.

იოლად გაიმარჯვა ფრუნზეს „ალგასთან“ სოჭის სტადიონზე ლენინგრადის „ზენიტმა“ — 4:0 (გოლები — ხრომჩენკოვი, ფოკინი, კოხი, ბულავინი), რომელსაც პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდა — 1:0.

საინტერესოდ წარიმართა დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და ტაშკენტის „ფახტაქორის“ ბრძოლა. პირველი შეხვედრა თავის მინდორზე „დნეპრს“ მოგებული ჰქონდა (2:1), საპასუხო მატჩი ტაშკენტში კი მოიგო „ფახტაქორმა“ — 3:2. აღსანიშნავია, რომ ხუთივე ბურთი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი. ტაშკენტელთაგან გოლების ავტორები არიან აბდურაიმოვი, ისაკოვი და იბრაგიმოვი, ხოლო დნეპროპეტროვსკელთაგან — ნაზაროვი. ამას გარდა, ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა „ფახტაქორის“ მცველმა ინოიატოვმა.

ორი შეხვედრის ჯამში, დებულების თანახმად, უპირატესობა წილად ხვდა „დნეპრს“, რომელსაც მეტოქის მინდორზე მეტი ბურთი აქვს გატანილი.

კისლოვოდსკში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ცსკა. სპარტაკელი ტიტოვის მიერ მე-18 წუთზე გატანილი ბურთი ორიოდე წუთის შემდეგ გააქვითა პოლიკარპოვმა — 1:1 (ცსკა-ს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა — 1:0).

ამრიგად, გამოვლინდნენ მერვედფინალის შემდეგი წყვილები: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „კარპატი“ (ლვოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ლენინგრადი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „დინამო“ (კიევი) — სკა (როსტოვი), ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი).

## საქართველოს ჩემპიონატი

დაიწყო რესპუბლიკის ჩემპიონატი. 4 მარტს გაიმართა I ტურის მატჩები.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „განთიადი“ (ბორჯომი) 2:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ წარმატებას მიაღწიეს სამტრედიელებმა (ბურთი გაიტანა დვალიშვილმა), მაგრამ არც ბორჯომელები დარჩნენ ვალში და გუგუბერიძემ ტაიმის დასასრულს გააქვითა ეს გოლი. საბოლოოდ, „ლოკომოტივმა“ მაინც იმარჯვა და ბარდაკოვის გოლის წყალობით 2 ქულა აიღო.

● „სინათლე“ (თბილისი) — „ფერიქარი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ნ. ცანავა (გაგრა).

თბილისელები შესვენებასთვის დაწინაურდნენ სიმონიშვილის მიერ გატანილი გოლით. „ფერიქარმა“ მეორე ტაიმში მონდომებით, მთელის ძალით იბრძოლა და მიაღწია ფრეს (საპასუხო გოლის ავტორია ჯანელიძე).

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მუქუზა“ (ქობულეთი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინა აივაზოვმა, რომელმაც პირველ ნახევარში ორი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში. შესვენების შემდეგ გორელებმა შეძლეს განსხვავების შემცირება ანგარიშში, მაგრამ ბაქანიძემ 75-ე წუთზე მესამე გოლი გაიტანა და მატჩის ბედიც გადაწყდა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიიღეს გარდაბნელმა ჯიქიამ და გორელმა დუდაშვილმა.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „ისანი“ (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ზუგდიდელი ალმასიას მიერ გატანილ ბურთს სულ მალე მოჰყვა ქავთარაძის საპასუხო გოლი — 1:1. შემდგომში ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა. გადამწყვეტი ბურთი ზუგდიდელმა კემულარიამ გაიტანა.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებული არიან ზუგდიდელი ტუთბერიძე და თბილისელი ბერძენიშვილი.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამცხე“ (ახალციხე) 2:0. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ანდრიაძემ და ნაჭყებიამ.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 0:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „გიგანტი“ (ლაითური) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 4:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

მატჩის ბედი ეჭვს აღარ იწვევდა მას შემდეგ, რაც ლოკომოტიველები დაწინაურდნენ ანგარიშით 4:0. ორი ბურთი გაიტანა დემეტრაშვილმა, თითო — კაზარიანმა და მინასელიძემ. „ივერიამ“ შეძლო გონს მოსვლა და თავი დააღწია დიდი ანგარიშით დამარცხებას. ორივე საპასუხო ბურთის ავტორია ლომსაძე.

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილება მიეცა ლოკომოტიველ ჯინჭარაძეს.

* * *

უამინდობის გამო არ შედგა ორი მატჩი: „მეშახტე“ (ტყიბული) — „კოლხეთი“ (ხობი) და „კახეთი“ (თელავი) — სკა (თბილისი).

## მივმართავთ გადამჭრელ ზომებს

დაიწყო საქართველოს პირველობის გათამაშება I ჯგუფის გუნდებს შორის, ბრძოლაში ჩაებნენ რესპუბლიკის „ა“ კლასის II ლიგის გუნდები, სტარტი აიღო ჭაბუკთა გუნდების რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა.

საქართველოს ჩემპიონატის პირველივე მატჩებში გაფრთხილება მიეცა რამდენიმე მოთამაშეს, ხოლო სოხუმის „დინამოსა“ და მახარაძის „მერცხლის“ ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრაში ჩხუბი ატეხეს სოხუმელმა ა. ხამალიანმა და მახარაძელმა ვ. ჩოლობარგიამ, რომლებიც მინდვრიდან გააძევეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ეს ინციდენტი და დაადგინა: ხამალიანსა და ჩოლობარგიას აეკრძალოთ თამაში მიმდინარე შეჯიბრების დამთავრებამდე და პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცეთ 1972 წლის ბოლომდე.

ფედერაციის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ გუნდებში ახალგაზრდა ფეხბურთელები მინდორზე გამოდიან ქალურად გაშვებული თმებით, თითებზე ბეჭდები უკეთიათ, მკერდზე ძეწკვები ჰკიდიათ და ა. შ., რაც ყოვლად დაუშვებელია. ასეთთა შორის ვხვდებით კრავჩენკოს (განათლების განყოფილება, თბილისი), ფოკინს („დილა“, გორი), ნატროშვილს („დინამო“, თბილისი), გაბარაშვილს („მეტალურგი“, რუსთავი), კაზარიანს, ჯინჭარაძეს („ლოკომოტივი“, თბილისი), ტიტვინიძეს, ლომთაძეს („ავაზა“, თბილისი) და სხვ.

პრეზიდიუმმა დაადგინა თუ ასეთი შემთხვევები კვლავ მოხდა, ფეხბურთელები სათამაშოდ არ დაიშვებიან. ამას გარდა, ზოგიერთ არბიტრს მიეთითა ამაღლონ მსაჯობის ხარისხი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოიხსნებიან გათამაშებიდან.

ფედერაციის პრეზიდიუმი ყველა ზომას მიმართავს რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე წესრიგის დასამყარებლად.

გ. ბაქანიძე,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## რეკორდები

**ულმი (გფრ), 6 მარტი.** ძალოსანთა აქ გამართული შეჯიბრება რეკორდების მხრივ უხვმოსავლიანი გამოდგა. საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა მსუბუქი წონის ათლეტი, პ. კოროლი, რომელმაც სამჭიდის ჯამში 445 კგ აჩვენა და თავისივე წინანდელი რეკორდი 2,5 კგ-ით დაამძიმა.

თავისივე მსოფლიო რეკორდს ნახევარი კილოგრამი დაუმატა მძიმე წონის ძალოსანმა, ლენინგრადელმა პ. პერვუშინმა. „გაგულისებულმა" ათლეტმა 171 კგ აიტაცა („გაგულისებულმა", რადგან აჭიმვაში ნული მიიღო და, ცხადია, სამჭიდში გამარჯვებისთვის გამართულ ბრძოლას გამოეთიშა).

21 წლის დასავლეთგერმანელმა ათლეტმა რ. მანგმა (ზემძიმე წონა) მეოთხე ცდაზე 230,5 კგ აჭიმა, რითაც ნახევარი კილოგრამი წაუმატა საბჭოთა გოლიათის ვ. ალექსეევის მსოფლიო რეკორდს (საბჭოთა ძალოსანი ამ ასპარეზობაში არ მონაწილეობდა). მანგმა ძალოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა (ალექსეევის შემდეგ) სამჭიდშიც: 625 კგ (222,5+175+227,5).

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ლვოველმა ა. გნატოვმა — 335 კგ, მ. ნასირიმ (ირანი) — 355, იოსიუკი მიიაკემ (იაპონია) — 392,5 (დონეცკელი ი. გოლუბცოვი მეორე იყო — 390), ლვოველმა პ. კოროლმა — 445, დონეცკელმა ა. გალკინმა — 465, მინსკელმა ვ. შარიიმ — 492,5, პერვოურალსკელმა ვ. კოლოტოვმა — 540, ს. გრიუცნერმა (გდრ) — 535, რ. მანგმა — 625.

**ჩელიაბინსკი, 6 მარტი.** წყალქვეშ ცურვაში ერთბაშად სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ტომსკელმა მოსწავლემ ნ. ავდეევამ. მან 25 მეტრზე ჩაყვინთა (სიგრძეზე), რასაც 9,4 წამი მოანდომა; 100 მ ფარფლებით 48,2 წამში გაცურა, ხოლო იგივე მანძილი წყალქვეშ აკვალანგით — 46,8 წამში.

ვაჟთა ასპარეზობისას კრასნოიარსკელმა ვ. კუცმა წამნახევრით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 400 მეტრზე წყალქვეშ ცურვაში. გამარჯვებულის შედეგია 3.30,0.

ამ წარმატებებს სპორტსმენებმა ადგილობრივ „სტროიტელის" აუზში მიაღწიეს, სადაც რსფსრ-ს თასის გათამაშება ჩატარდა. საპატიო ნადავლს ნოვოსიბირსკის გუნდი დაეუფლა.

**ინცელი, 6 მარტი.** სეზონის გმირმა, ჰოლანდიელმა მოციგურავე ა. სხენკმა აქ მსოფლიო რეკორდი დაამყარა მრავალჭიდშიც — 167,420 ქულა. გფრ-ის წარმომადგენელმა ე. კელერმა მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა სპრინტერულ მრავალჭიდში — 155,800 ქულა დააგროვა. ეს შედეგი 0,700 ქულით სჯობს ფინელი ლ. ლინკოვესის მიღწევას, რომელმაც ორი თვე გაძლო.

# ამჯერად სტოდულკა



**შ**არშან კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მოტოკროსმენთა საერთაშორისო შეხვედრები. გადაწყდა ეს ასპარეზობანი ყოველი წლის მარტში რუსთავში დაიწყოს, თბილისში გაგრძელდეს და სოხუმში დამთავრდეს. ტურნირის მიზანი ნათელია: ორივე ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ უნდა მოსინჯოს თავისი ძალა და უნარი.

შარშან ჩეხოსლოვაკიელებმა რუსთავში ბრწყინვალედ იასპარეზეს: უძლიერესი მანქანებით კროსში კ. კონეჩნიმ ორივე ცდა მოიგო და, ცხადია, პირველობაც დაისაკუთრა. ჩეხოსლოვაკიაში საერთაშორისო კლასის ოსტატები რომ ჰყავთ, ეს შარშანდელი სეზონის საერთაშორისო ტურნირებმა და კვირას რუსთავში გამართულმა წლევანდელი სეზონის პირველმა სტარტმაც დაადასტურეს.

ამჯერად სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კუბისა და საქართველოს მოტოციკლისტები სიძლიერის მიხედვით „ა" და „ბ" ჯგუფებად დაიყვნენ. „ა" ჯგუფში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი, ეროვნული პირველობების მფლობელნი და პრიზიორები — ჩეხოსლოვაკიელები ი. სტოდულკა, ზ. სტრნადი, „დუნაის თასის" მფლობელი გ. მოისეევი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონები ა. რულიოვი, ვ. არბეკოვი (ყველა — ლენინგრადი), კიეველები ა. კიბირინი, ვ. კავინოვი, რიგელი გ. დრაუგსი და სხვ.

საქართველოდან ამ ჯგუფში ა. კლდიაშვილი და ა. ანტონოვი ასპარეზობდნენ, მაგრამ რბოლა ვერც ერთმა ვერ დაასრულა: კლდიაშვილს ნანქანა გაუფუჭდა, ანტონოვი კი დაშავდა.

სხვა სპორტსმენები, მათ შორის, კუბელებიც, „ბ" ჯგუფში იბრძოდნენ. ჯგუფების ასპარეზობის პროგრამაში კი ის განსხვავება იყო, რომ 1800-მეტრიან წრეზე უძლიერესებს საკონტროლოდ 50 წუთი პლუს 2 წრე ეძლეოდათ. მეორეჯგუფელებისთვის კი საკონტროლო დრო 30 წუთი იყო.

„ა" ჯგუფში (სტარტზე 33 სპორტსმენი გამოვიდა) საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს კროსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ მოისეევს აშკარად უმუხთლა ბედმა: ორივე ცდაზე მოტოციკლი გაუჯიუტდა, ორივეჯერ საკმაო დრო დაკარგა და მერე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ დანაკარგის ანაზღაურება აღარაფერს შეეძლო.

პირველივე ცდაში გაირკვა, რომ გამარჯვებულის საკითხი ვოლოსკოვეჩელი მუშის სტოდულკასა („დუკლა") და კავინოვს („დნეპრი") შორის გამართულ დუელს უნდა გადაეწყვიტა. ჩეხოსლოვაკიელი უფრო ... აღმოჩნდა და პირველი ცდა მოიგო. მან 23 წრის შემდეგ ...

სტოდულკას მონაპოვარი შემდგომშიც არ გაუშვია ხელიდან, მეორე ცდაც მოიგო და უძლიერესთა ჯგუფში საერთო გამარჯვება დაისაკუთრა. II ადგილზეა კავინოვი, III — ნ. ეფიმოვი (ცსკა).

„ბ" ჯგუფში მოასპარეზე 30 სპორტსმენს შორის ორი ცდის ჯამში I ადგილი ლენინგრადელ ს. პოტაპოვიჩს დარჩა. II ადგილი ერგო მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ს. ესკოვს, III — კოვროველ ვ. კოლკოვს.

საქართველოს მოტოციკლისტებიდან საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს რუსთაველმა რ. ქარიმოვმა (V ადგილი) და თბილისელმა ვ. გალუსტაშვილმა (VI).

ტურნირის საუკეთესო სპორტსმენებს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტისა და რუსთავის ორგანიზაციების სპეციალური პრიზები გადაეცათ.

**რ. მაღრაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.

* * *



სურათებზე: ასპარეზობაში ასეთ ნახტომებსაც ხშირად ნახავდით და ასეთ ციცაბო დაღმართეზე დაშვების საინტერესო მომენტებსაც. ო. გელაშვილისა და რ. გაბრიჭიძის ფოტოები.

# მძლეოსანთა ზამთრის სტარტები

**მოსკოვი, 6 მარტი.** ძმები ზნამენსკების მანეჟში გაიმართა „იზვესტიის" ზამთრის მძლეოსნური თასის გათამაშების ზონალური შეჯიბრება. მოსკოველმა ვ. შევჩენკომ სამხტომში 16,44 მ აჩვენა, ხოლო მინსკელმა მ. ჟელობოვსკიმ 1500 მ წლეულს სსრ კავშირში საუკეთესო შედეგით გაირბინა — 3.45,2.

**ბრიანსკი, 6 მარტი.** 20 წლის თ. კისაროვამ (ივანოვო) მოიგო ქალთათვის უჩვეულო სახეობა — 3000 მეტრზე რბენა (იგი ექსპერიმენტის სახით აა შეტანილი „იზვესტიის" თასის ზონალური შეჯიბრების პროგრამაში). ადგილობრივი სპორტკლუბ „დესნის" მანეჟში კისაროვამ ეს მანძილი 10 წუთსა და 2,4 წამში დაფარა. 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ა. კუჩერიავიმ (49,2), ხოლო მისმა თანაგუნდელმა — ბრიანსკის ნაკრების წევრმა ვ. სინიაევმა ყველას აჯობა 60-მეტრიან დისტანციაზე — 6,5.

**ტულა, 6 მარტი.** ადგილობრივ მანეჟში „იზვესტიის" თასისთვის მოასპარეზე როსტოველი ვ. სკიბენკო საუკეთესო იყო სიგრძეზე ხტომაში — 771 სმ. ეს შედეგი მეორეა წლეულს საბჭოთა კავშირის დარბაზებში. ბ. იზმესტიევმა (მოსკოვის ოლქი) 60 მ 6,6 წამში გაირბინა.

**ალმა-ათა, 6 მარტი.** ყაზახეთის მძლეოსანთა ზამთრის პირველობაში ლ. გავრილოვამ ყველას აჯობა 3000 მეტრზე რბენაში — 10.03,3.

**სლივენი (ბულგარეთი), 6 მარტი.** ამ ქალაქის შემოგარენში გაიმართა მეგობრული არმიების კროსმენთა შეჯიბრება. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მძლეოსნები პირველობდნენ. პირად ჩათვლაში 10-კილომეტრიან დისტანციაზე 29 მონაწილის ბრძოლაში საუკეთესო აღმოჩნდა ბულგარელი მ. ჟელევი — 28.56,2. ასეთივე დროში დაამთავრა რბენა საბჭოთა სტაიერმა ი. პარლუიმ. III ადგილზეა პ. ანდრეევი — 29.01,0. ვ. ლუდინმა VIII ადგილი დაიკავა — 29.31,3.

**ლოს-ანჯელესი, 6 მარტი.** ადგილობრივ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრების დროს 4×220 იარდზე ესტაფეტაში მოასპარეზე გუნდმა 1.21,1 აჩვენა. ეს შედეგი მსოფლიო მიღწევას სჯობს, მაგრამ რეკორდად არ ჩაითვლება: გუნდი „შერეული" იყო — ამერიკელებთან ლ. ბრაუნთან, ე. ჰარისონთან და გ. დეკართან მხარდამხარ იამაიკელი დ. ქვორიც ასპარეზობდა. თავისი ეტაპი ქვორიმ 19,7 წამში გაირბინა, რაც ფანტასტიკურად სწრაფი დროა დარბაზებისთვის. ო. ფოიერბახმა (აშშ) ბირთვი კვლავ გაატყორცნა 21-მეტრიან ზღვარს (21,02) და ისევ აჯობა მსოფლიო რეკორდსმენს, თანამემამულე რ. მატსონს (20,79). სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა რ. ბრაუნმა (აშშ) — 216 სმ, ხოლო სიგრძეზე ხტომაში — ასევე ამერიკელმა ა. რობინსონმა — 784 სმ. 100-მეტრიან დისტანციაზე ამერიკელ სპრინტერებს მადაგასკარელმა ჟ.-ლ. რაველომანანტსოამ აჯობა — იგი სულ 0,1 წამით „ჩამორჩა" მსოფლიო რეკორდს. მადაგასკარელის შედეგია 9,4.

**კოლუმბუსი, 6 მარტი.** ამერიკის ამ ქალაქის დარბაზში გამართულ სტუდენტურ შეჯიბრებაში მაყურებლებმა წლეულს პირველად იხილეს მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში პ. მაცდორფი. მან მხოლოდ 213 სმ გადალახა და II ადგილი დაიკავა — 3 სმ „დაუთმო" ახალგაზრდა დ. ადამსს.

**სან-ხოსე, 6 მარტი.** თბილმა კალიფორნიულმა ამინდმა ამერიკელ ბადროს მტყორცნელებს პირველად მისცა საშუალება ოლიმპიურ წელიწადს ღია ცის ქვეშ ჩაეტარებინათ შეჯიბრება. ყველას აჯობა ჯ. პაუელმა — 63,40 მ. გამარჯვებულს ბევრად ჩამორჩა მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. სილვესტრი — 61,72 მ.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 11 მარტს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტული ბაზები

**ცურვა.** „შრომითი რეზერვების" აუზი (ოქტომბრის ქ. № 134). 8 მარტი. საქართველოს ქალთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 17 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 8 მარტი. შეჯიბრება საქართველოს ქალთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს.

**მოტოკროსი.** დელისის მიდამოები. 8 მარტი. საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის, კუბის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით. დასაწყისი 13 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 10 მარტი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ცსკა. დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 18 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

### მატჩი შედგება რუსთავში

თბილისის „დინამოს" განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მეხვედრა ხარკოვის „მეტალისტთან" სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში შედგება 8 მარტს რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე.

დასაწყისი 15 ს.

# თასს ვადამდე დაეუფლა

**ს**ამთომთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშება დასასრულს უახლოვდება: ყველა სახეობაში უძლიერესთა გამოსავლენად კიდევ რამდენიმე ეტაპის შეჯიბრებებია გასამართავი. ამის მიუხედავად, სამჭიდის ჯამში მსოფლიო თასის ერთი მფლობელი უკვე ცნობილი გახდა. ესაა 18 წლის ავსტრიელი ანემარი პრიოლი, რომელმაც აშშ-ს სოკველ საუტ ლეიკ ტაჰოს მიდამოებში გიგანტური სლალომი (ტრასის სიგრძე 1000 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 400 მ, 49 კარი) მოიგო — 1.18,96. პრიოლს სეზონში უკვე 258 ქულა დაუგროვდა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.

პრიოლმა, რომელმაც საპოროს ოლიმპიადაში ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიგო და ორი ვერცხლით დაკმაყოფილდა, მსოფლიოს თასი ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა. საამისოდ ანემარის დაძაბული ბრძოლების მოგება დასჭირდა — დასავლეთგერმანელ რ. მიტერმაიერსა (1.19,26) და ფრანგ ბ. ლაფორგს (1.19,31) მან წამის მეასედებით აჯობა.

თასის გათამაშებაში ჯერჯერობით II ადგილზეა ფრანგი ფ. მაჩი (187 ქულა), III — ავსტრიელი ვ. დრექსელი (102).

ვაჟების გიგანტური სლალომის ტრასა ქილებისაზე 68 მეტრით ნაკლები, მაგრამ გაცილებით რთული იყო, თანაც, სპორტსმენები ორ-ორ ცდას ასრულებდნენ (სიმაღლეთა სხვაობა 365,5 მეტრს შეადგენდა და 44 კარი იდგა).

თავდაპირველად მსოფლიო ჩემპიონი, ფრანგი ჟ.-ნ. ოჟე დაწინაურდა, მაგრამ მეორე ცდაზე იგი საკონტროლო კარს წამოედო, დაშავდა და ბრძოლას გამოეთიშა. გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. ტონიმ (იტალია) — 2.01,30. II ადგილი დაიკავა ა. დიუვიიარმა (საფრანგეთი) — 2.01,94, III — დ. ცვილინგმა (ავსტრია) — 2.02.10.

დიუვიიარის მიერ II ადგილის მოპოვებამ და ოჟეს მარცხმა თასის გათამაშების ლიდერის სადავეები ხელთ მისცა დიუვიიარს, რომელსაც 117 ქულა დაუგროვდა და ოჟეს 3 ქულით გაასწრო. ტონი III ადგილზე ავიდა — 107 ქულა.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04465